



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000094443461117

0900 ქ. ახმეტა ჩილოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 19

12 / ივლისი / 2017 წ.

დადგენილება

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა რანგირებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ.“, „დ.ე“ ქვეპუნქტებისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა, საჯარო მოსამსახურეთა რანგირება და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები“ თანდართული სახით.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის № 43 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 08/09/2014, სარეგისტრაციო კოდი: 270070000.35.162.016260).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2017 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე



თამარ ყეინიშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ს. შტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	საშტატო ერთეულის დასახელება	საშტატო რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო
1	აპარატის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1000
2	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	560
3	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საქმის წარმოების და საკადრო საკითხებში)	1	560
4	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საორგანიზაციო საკითხებში)	1	560
5	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის საკითხებში)	1	560
6	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში)	1	560
7	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საქმის წარმოების საკითხებში)	1	500
სულ		7	